20.09.2022

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2022 წლის აგვისტო

იმპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 1.5 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 1.8 პროცენტიანი ზრდა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ფასები 6.6 პროცენტით შემცირდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასების 3.5 პროცენტიანი მატება ფიქსირდება, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე - ფასების 72.1 პროცენტიანი კლება. რაც შეეხება წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 12.7 პროცენტიანი კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის აგვისტოში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის აგვისტოსთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**101.8**	**1.84**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**93.4**	**-0.77**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**103.5**	**3.02**
19	კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	143.0	3.18
28	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	83.5	-1.28
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**27.9**	**-0.39**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**87.3**	**-0.03**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.09.2022

იმპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge